ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2025 წლის 25 ივნისი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გენდერული თანასწორობის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (დოკუმენტის ნომერი 428-IIმს-XIმპ, ვებგვერდი 04/04/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.05.001.102559) საქართველოს კანონის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, თარიღი: 16/11/2017წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.138.016280) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:
1.
135-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საკრებულო, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისია, საკრებულოს ფრაქცია, მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები: საკრებულოს ბიუროს წევრები, მერი, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ვალდებული არიან ამ რეგლამენტის 137-ე მუხლით დადგენილი წესით, წელიწადში ერთხელ მაინც, გამოაქვეყნონ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ."
2.
137-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქ) მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ოქმი, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.".

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით ლომიძე